



კირველი წლიური ანგარიში
დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

2017-2018




ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice



პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია დამოუკიდებელი
ინსპექტორის სამსახური და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს
ევროკავშირის შეხედულებებს

*საქმე, რომელსაც ემსახურებით,
არის იმ საზოგადოების ფუნდამენტი,
რომელშიც ცხოვრობთ.¹*



დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობა აუცილებელი პირობაა ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ამ პროცესში, ერთ-ერთი მთავარი როლი ანგარიშვალდებულ მართლმსაჯულებას ენიჭება, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტს სწორედ ეფექტური დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი წარმოადგენს. ობიექტურ კრიტერიუმებზე დამყარებული დისციპლინური სამართალწარმოების ღია და გამჭვირვალე პროცესი უზრუნველყოფს სასამართლოს ავტორიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვას და საზოგადოების ნდობის ამაღლებას მართლმსაჯულების მიმართ.

დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობისა და სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით შექმნილი ახალი ინსტიტუტის მთავარ ამოცანას სწორედ ამ პროცესის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ ფონზე, ახლადშექმნილი სამსახურის მიერ პირველი წლიური ანგარიშის წარდგენა მეტად დიდი პასუხისმგებლობაა.

ვაცნობიერებთ რა, ქართული მართლმსაჯულების სისტემაში დისციპლინური სამართალწარმოების მზარდ როლს, მით უფრო მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პირობებში, ძალისხმევას არ დავიშურებთ, ჩვენი საქმიანობით უზრუნველყოფილი იყოს, ერთის მხრივ, დისციპლინური პროცედურების ეფექტურობა და მეორეს მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოების შესაბამისობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებთან.

¹ Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, addressing the National Judicial Orientation Programme, Wollongong, Australia, 13 October 1996. გამოსვლის სრული ტექსტი იხილეთ საიტზე: www.hcourt.gov.au/speeches/brennanj/brennanj_wollong.htm

- 4 ■ შესავალი
- 5 ■ **1. დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი -
სიახლე ქართულ მართლმსაჯულებაში**
- 5 ■ 1.1. საკანონმდებლო ცვლილებები
- 6 ■ 1.2. დამოუკიდებელი ინსპექტორი და მისი
უფლებამოსილებები
- 7 ■ 1.3. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური
- 8 ■ 1.4. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის
ხელმისაწვდომობისა და საქმიანობის გამჭვირვალობის
უზრუნველყოფა
- 9 ■ 1.5. დისციპლინური სამართალწარმოების
პროცედურები რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ
- 12 ■ 1.6. მოსამართლეთა/საჩივრის ავტორთა უფლებები და
სამართლებრივი გარანტიები
- 14 ■ **2. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის
სტატისტიკური ანალიზი**
- 14 ■ 2.1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია
- 15 ■ 2.2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური
გადაცდომების თაობაზე
- 17 ■ 2.3. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო
ინსტანციების შესაბამისად

- 18 ■ 2.4. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად
- 19 ■ 2.5. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ
- 20 ■ 2.6. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ
- 21 ■ 2.7. სტატისტიკური ინფორმაცია წარდგენილი დასკვნებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებების შესახებ
- 22 ■ 2.8. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გადაწყვეტილებების შესახებ
- 24 ■ **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადება**
- 26 ■ 3.1. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება
- 30 ■ 3.2. მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
- 33 ■ 3.3. სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა
- 36 ■ 3.4. სასამართლო აქტის კანონიერება
- 38 ■ **4. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები წინადადებები და რეკომენდაციები**

მართლმსაჯულება დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის განხორციელების საფუძველს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს. სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც მოსამართლეთა მიუკერძოებლობის პირობა მოქალაქეთა თანასწორობის გარანტიას წარმოადგენს.²

ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება გულისხმობს, როგორც პროცესისა და სისტემის ღიაობას, ისე მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვას. აღნიშნული მოიაზრებს როგორც სასამართლოს, ისე კონკრეტული მოსამართლის ანგარიშვალდებულების მექანიზმების დახვეწასა და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებას, მათ შორის დისციპლინური სამართალწარმოების უზრუნველყოფით.

2017 წელს, ანგარიშვალდებული და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გაძლიერების მიზნით, სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი და დისციპლინური სამართალწარმოების ახალი, განსხვავებული წესი შემოვიდა.

პირველი დამოუკიდებელი ინსპექტორი - ქეთევან ცინცაძე საქმიანობას 2017 წლის 21 ნოემბრიდან შეუდგა.³ შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2018 წლის ანგარიში მოიცავს დისციპლინური საჩივრების განხილვის, მომზადებული დასკვნებისა და განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს 2017 წლის 21 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დოკუმენტის მიზანია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ღიაობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, ასევე, არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების წარმოჩენა. ანგარიში ცხადყოფს იმ პრინციპებს, რაზე დაყრდნობითაც დამოუკიდებელი ინსპექტორი ახორციელებს წინასწარ მოკვლევასა და ამზადებს დასკვნას. აჩვენებს იმ სტანდარტებს, რომლებიც გამოიყენება დისციპლინურ სამართალწარმოებაში.

ანგარიშში მიმოხილულია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ერთ-ერთი ეტაპი - წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობს. სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაანალიზებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა. ასევე, დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები განზოგადებულია ყველაზე ხშირად მითითებული

2 მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა 10 (2007)

3 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ნოემბრის 1/312 გადაწყვეტილება ქ. ცინცაძის დამოუკიდებელ ინსპექტორად არჩევის შესახებ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/312.pdf>

დისციპლინური გადაცდომების შესაბამისად. ანგარიშში მოცემულია დისციპლინური გადაცდომის კონკრეტული შემთხვევები და მათზე რეაგირების სამართლებრივი შედეგები.

1. დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი - სიბილქე ქართულ მართლმსაჯულებაში

1.1 საკანონმდებლო ცვლილებები

წლების განმავლობაში დისციპლინური სამართალწარმოება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ არაერთი საკანონმდებლო ცვლილების პარალელურად მიმდინარეობდა, თუმცა 2017 წელს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები სრულად შეიცვალა. დისციპლინური საქმის წინასწარი მოკვლევის უფლებამოსილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებელ ინსტიტუტს - დამოუკიდებელ ინსპექტორს გადაეცა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნის მიზანს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესება, კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და პროცედურული საკითხების დახვეწა წარმოადგენდა. ცვლილებების შედეგად განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაცია, განმტკიცდა მოსამართლეთა/საჩივრის ავტორთა უფლებრივი გარანტიები და გაიზარდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობა.

საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში 2017 წლის 08 თებერვალს განხორციელდა.⁴

2018 წლის 01 მაისამდე დისციპლინური სამართალწარმოება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხორციელდებოდა. მას შემდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პირველ ეტაპზე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მხოლოდ იმ დისციპლინურ საჩივრებს იხილავდა, რომლებიც 2017 წლის 15 მარტის შემდეგ ჩადენილ შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებს ეხებოდა, ხოლო საჩივრები მანამდე არსებული პერიოდის ფაქ-

4., საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკანონმდებლო მაცნე 13.02.2017, 256-III

ტებთან მიმართებით - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს გადაეცემოდა.⁵

აღნიშნული წესი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ, 2018 წლის 01 მაისიდან შეიცვალა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ნებისმიერი დისციპლინური საჩივარი წინასწარი მოკვლევისათვის დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს გადაეცემა.

1.2 დამოუკიდებელი ინსპექტორი და მისი უფლებამოსილებები

დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე შერჩევის წესს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს.⁶

დამოუკიდებელი ინსპექტორი დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს ობიექტურად, ყოველმხრივ და მიუკერძოებლად. მოკვლევის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია შეისწავლოს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.⁷

დისციპლინური საქმის ყოველმხრივი მოკვლევის მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორი შესაბამისი ორგანოებიდან ითხოვს ყველა საჭირო ინფორმაციას, შესაბამის საქმის მასალებსა და დოკუმენტებს, ვიდეო- და აუდიოჩანაწერებს, დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით იწვევს საქმის გარემოებების მცოდნე პირებს (მოსარჩელე, მოპასუხე, დაინტერესებული პირი, მესამე პირი, სხდომაზე დამსწრე პირი და აშ.) და ისმენს მათ ინფორმაციას.⁸

დამოუკიდებელი ინსპექტორი საქმის წინასწარ შემოწმებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებს და მოკვლევის შედეგებს დასკვნის სახით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს, რომელიც საქმეზე იღებს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას.

⁵ მოკვლევას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი აწარმოებდა

⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 51¹, პუნქტი 2. დამოუკიდებელ ინსპექტორს 5 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამ კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 75¹⁰, პუნქტი 3
⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 75¹⁰, პუნქტი 2

ბას. დასკვნა მოიცავს ინფორმაციას დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაზის, საქმის მოკვლევის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების, საჩივრის ავტორის მოთხოვნების, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასების შესახებ. მასში ასახულია დამოუკიდებელი ინსპექტორის მოსაზრება დისციპლინური გადაცდომის არსებობის ან არარსებობის თაობაზე. სამართლებრივი შეფასებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ეყრდნობა შიდა კანონმდებლობას, საერთაშორისო პრაქტიკასა და სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყენება, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ისე მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნები, ბანგალორის პრინციპები და სხვა სამართლებრივი აქტები.

1.3 დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

დამოუკიდებელი ინსპექტორი წინასწარ მოკვლევასა და შემოწმებას ახორციელებს სამსახურის აპარატის მეშვეობით. დამოუკიდებელი ინსპექტორი კონკურსის საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლებს.⁹ კონკურსი ტარდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად. დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის საკუთარი აპარატის მოხელეებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებლად დანიშვნის უფლებამოსილების მინიჭება ხელს უწყობს და აძლიერებს აღნიშნული სამსახურის დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური 8 თანამშრომლისაგან შედგება, რომელთაგან 1 კანცელარიის თანამშრომელია. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლებს შორის დისციპლინური საქმეები საქმეთა კატეგორიების შესაბამისად ნაწილდება.

2018 წლის 30 აგვისტოდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარია ცალ-ცალკე ფუნქციონირებს. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარიაში ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს ჩააბაროს დისციპლინური საჩივარი, კორესპონდენცია და დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებული სხვა განცხადება.

9 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 51¹ მუხლი, პუნქტი 10

1.4. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ხელმისაწვდომობისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის საჩივრის წარდგენა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარიაში საჩივრის შეტანის გზით, ისე 2018 წლის 20 ივნისიდან ელექტრონულად - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდის www.independent-inspector.ge და ელ. ფოსტის info@independent-inspector.ge მეშვეობით. საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური აქტიურად მართავს სოციალურ ქსელში არსებულ გვერდს¹⁰.

დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის, ანგარიშგაღებულების და პროცესის ღიაობის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა ვებგვერდის პრეზენტაციასთან ერთად, 2018 წლის 20 ივნისს, საზოგადოებას საქმიანობის ექვსი თვის ანგარიში წარუდგინა და არსებული სტატისტიკური ინფორმაცია გააცნო. ამავე მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვებგვერდზე სისტემატურად აახლებს ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს.

WWW.INDEPENDENT-INSPECTOR.GE

**დამოუკიდებელი ინსპექტორის
სამსახურის კანცელარია**



<https://www.facebook.com/officeofindependentinspector/>

¹⁰ [HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/OFFICEOFINDEPENDENTINSPECTOR/](https://www.facebook.com/officeofindependentinspector/)

1.5. დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ

2017 წლის 15 მარტამდე მოქმედი რედაქციით, დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებას იწყებდა და ახორციელებდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, წევრი ან აპარატის მოხელე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი/წევრი იღებდა გადაწყვეტილებას, როგორც დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, ისე მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ და მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენდა. სადისციპლინო სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეთანხმებოდა და ამტკიცებდა მდივნის გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ დაეთანხმებოდა დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილებას, მდივანი იღებდა გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის განახლებისა და მისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე, ხოლო თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ დაეთანხმებოდა პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას, დისციპლინურ დევნა მოსამართლის მიმართ წყდებოდა. დისციპლინურ სამართალწარმოებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის ხმათა საჭირო რაოდენობის არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულად არ ითვლებოდა და საჩივარზე სამართლებრივი შედეგი სტატუსის გარეშე რჩებოდა.¹¹

2017 წლის 15 მარტიდან, დისციპლინურ საქმეებზე წინასწარ შემოწმებას იწყებს და ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი. წინასწარი მოკვლევის შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორი ამზადებს დასკვნას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე. დასკვნა წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად. განსხვავებით კანონის ძველი რედაქციისაგან, როდესაც საბჭოს მდივანს მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა შეეძლო, მოქმედი კანონმდებლობით დამოუკიდებელ ინსპექტორს მისი გადაწყვეტილებით მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის უფლებამოსილება არ გააჩნია. აღნიშნული უფლებამოსილება კოლეგიურ ორგანოს - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას როგორც დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის, ისე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

¹¹ დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის დროის გასვლამდე ან მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის შეწყვეტამდე.

დისციპლინური საქმის გამოკვლევის საბოლოო ეტაპზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წყვეტს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოძიებული მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია ან/და გაჩნდა კითხვები გამოსაკვლევ საკითხთან მიმართებით, მას უფლება აქვს დამატებითი გამოკვლევის ჩასატარებლად საქმე დაუბრუნოს დამოუკიდებელ ინსპექტორს.

უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური საქმეები დახურულ სადისციპლინო სხდომებზე განიხილება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.¹² თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.¹³



12 <http://hcoj.gov.ge/ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba/distsiplinuri-dagatskvatilebebi>

13 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 75⁸ მუხლი, პუნქტი 1

**დისციპლინური
სამართალწარმოება
რეფორმადე**



წინასწარ მოკვლევას იწყებდა და ახორციელებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელე



მოკვლევის შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი/წევრი იღებდა გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ საბჭოს მდივანი იღებდა გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინებოდა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იზიარებდა და ამტკიცებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში თუ საბჭო არ ეთანხმებოდა დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, ანახლებდა დევნას მოსამართლის მიმართ და ამ შემთხვევაში მდივანი იღებდა გადაწყვეტილებას მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, ხოლო თუ არ ეთანხმებოდა პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილებას, წყვეტდა დისციპლინურ დევნას.

**დისციპლინური
სამართალწარმოება
რეფორმის შემდეგ**



წინასწარ მოკვლევას იწყებს და ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი



წინასწარი მოკვლევის შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორი ამზადებს დასკვნას. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს დასკვნით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

1.6. მოსამართლეთა/საჩივრის ავტორთა უფლებები და სამართლებრივი გარანტიები

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, მოსამართლეთა დაცვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიები იქნა შემოღებული, გაიწერა მოსამართლეთა და საჩივრის ავტორთა უფლებები. სავალდებულო გახდა მოსამართლის დაუყოვნებლივ ინფორმირება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას როგორც საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების, ისე სადისციპლინო სხდომაზე მისი დისციპლინურ პასუხსუცებაში მიცემის საკითხის განხილვის თაობაზე.

კანონით დადგინდა, რომ მოსამართლეს უფლება აქვს, წინასწარი მოკვლევის ეტაპზეც ისარგებლოს დამცველის დახმარებით. მას შეუძლია დამცველად მიიწვიოს ადვოკატი, სხვა მოსამართლე, ან წარმომადგენელი.

მოსამართლეს უფლება აქვს დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილება მოითხოვოს. მიკერძოებულობის საფუძვლიანობის საკითხს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წყვეტს. აცილების შემთხვევაში, საქმის წინასწარ შემოწმებას და მოკვლევას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი განახორციელებს.

საკანონმდებლო ცვლილებებით მოსამართლეს მიენიჭა უფლება გაასაჯაროვოს სადისციპლინო სხდომა. კანონით ცალსახად განისაზღვრა, რომ ახსნა-განმარტების მიცემა მოსამართლის უფლებაა და არა ვალდებულება.

დისციპლინურ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ექვემდებარება დასაბუთებას და შემატყობველი გადაწყვეტილება მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება საჩივრის ავტორსა და მოსამართლეს.¹⁴

¹⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 75⁴ მუხლი, პუნქტები 2,3

**მოსამართლის/საჩივრის
ავტორის უფლებები
რეფორმამდე**



მოსამართლეს დისციპლინური
სამართალწარმოების დაწყების
შესახებ არ ეცნობებოდა



მოსამართლეს დამცველის
დახმარებით სარგებლობის
უფლება დისციპლინურ
პასუხისგებაში მიცემის
შემდეგ ჰქონდა



დისციპლინური
სამართალწარმოების
განმახორციელებელი პირის
აცილების უფლებამოსილებას
ძველი პროცედურები არ
ითვალისწინებდა



დისციპლინური საქმე
განიხილებოდა დახურულ სხდომაზე



მოსამართლეს სადისციპლინო
სხდომის გასატაროების
უფლებამოსილება არ ჰქონდა



საბჭოს მიერ მიღებული
გადაწყვეტილება დისციპლინური
სამართალწარმოების შეწყვეტის
შესახებ სავალდებულო დასაბუთებას
არ ექვემდებარებოდა



საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრის
ავტორს ეგზავნებოდა
მოთხოვნის შემთხვევაში

**მოსამართლის/საჩივრის
ავტორის უფლებების
რეფორმის შემდეგ**



მოსამართლის ინფორმირება
ხდება წინასწარი მოკვლევის
დაწყებისთანავე



მოსამართლეს დამცველის
დახმარებით სარგებლობის
უფლება წინასწარი მოკვლევის
ეტაპზეც მიენიჭა



მოსამართლეს მიენიჭა
დამოუკიდებელი ინსპექტორის
აცილების უფლებამოსილება



მოსამართლეს ეცნობება
სადისციპლინო სხდომაზე მისი
დისციპლინურ პასუხისგებაში
მიცემის საკითხის განხილვის
თაობაზე



მოსამართლეს მიენიჭა სხდომის
გასატაროების უფლებამოსილება



საბჭოს მიერ მიღებული ყველა
გადაწყვეტილება ექვემდებარება
დასაბუთებას



გადაწყვეტილება საჩივრის ავტორსა
და მოსამართლეს ეგზავნება
მიღებიდან 5 დღის ვადაში

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი

2.1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელ ინსპექტორს თანამდებობაზე არჩევის დღიდან (2017 წლის 21 ნოემბერი) განსახილველად 103 დისციპლინური საჩივარი გადაეცა. 2017 წელს სულ წარმოებაში 131 დისციპლინური საჩივარი ჰქონდა.


2018 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს განსახილველად 318 დისციპლინური საჩივარი გადაეცა.

საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 183 ფორმადაცველი წერილით (საჩივრით) მიმართეს.


დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარიის ამოქმედების შემდეგ 2018 წლის 01 სექტემბრიდან - 31 დეკემბრამდე დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარიაში 97 საჩივარი და 57 ფორმადაცველი განცხადება დარეგისტრირდა.

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს განსახილველად სულ გადაეცა 449 დისციპლინური საჩივარი, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული 2 ინფორმაცია, სახალხო დამცველის 2 წინადადება და 2 მოხსენებითი ბარათი.

2017 წლის სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრების საერთო რაოდენობა 131



2018 წლის სტატისტიკური ინფორმაცია
საჩივრების საერთო რაოდენობა 449



2.2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების თაობაზე

საქმიანობის განმავლობაში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა არაერთი საჩივრის ავტორისა თუ დაინტერესებული პირის შეკითხვებს უპასუხა. დისციპლინური საქმის უკეთ გამოკვლევის მიზნით სასამართლოებიდან გამოითხოვა საქმის მასალები, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, გამოკითხა საჩივრის ავტორები და საქმესთან დაკავშირებული პირები, მოიძია სხვადასხვა სახის წერილობითი მტკიცებულებები (მაგ. ინფორმაცია სხდომის განრიგის შესახებ, მოსამართლეთა დეკლარაცია და აშ.). მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, 2018 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა შეძლო საჩივრები კანონით დადგენილ 2 თვიან ვადაში განეხილა. წინასწარი მოკვლევა განხორციელდა 2017-2018 წლებში მიღებული საჩივრების **89%**-ზე.


დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შემოსული საჩივრების უმრავლესობა, როგორც წესი, შეეხება მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესაძლო ჩადენის ფაქტს, საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურებასა და გადაწყვეტილების კანონიერებას. საჩივართა დიდი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას ისეთი საგარაუდო გადაცდომების თაობაზე, რომლებიც არ დასტურდება. მაგალითად, საჩივარში მითითებულია სხდომის თარიღი და საათი, როდესაც საჩივრის ავტორის მითითებით მოსამართლემ უხეშად მიმართა მას, თუმცა აღნიშნული ფაქტი არა მხოლოდ კონკრეტული სხდომის, არამედ საქმეში არსებული არცერთი აუდიომასალის შესწავლის შედეგად არ დადასტურდა. ასევე, საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მოსამართლემ არ განიხილა მხარეთა შუამდგომლობა, თუმცა საქმეში მოიპოვება განჩინე-

ბა შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა თუ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.


სტატისტიკური მონაცემების თანახმად, როგორც 2017, ისე 2018 წლებში შემოსული საჩივრების **36%**-მდე მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესაძლო ჩადენის ფაქტს შეეხებოდა. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით **13%**-ით შემცირდა საჩივრებში საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მითითების შემთხვევები. თუ 2017 წელს მიღებულ საჩივართა **35%** შეეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტს, 2018 წელს, მხოლოდ **22%** უთითებდა მსგავსი სახის გადაცდომაზე. 2018 წელს მიღებული საჩივრების **24%** შეეხებოდა სასამართლოს მიერ მიღებული აქტის კანონიერებას, რაც **11%**-ით მეტია 2017 წლის მონაცემებთან შედარებით. 2017 წელს სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევებზე მითითება ხდებოდა მიღებული საჩივრების **15%**, ხოლო 2018 წელს - **18%**-ის შემთხვევაში.

2017 წელი

- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება
- მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა
- კორუფციული სამართალდარღვევა
- აქტის კანონიერება




- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა
- აქტის კანონიერება
- გადაცდომის სხვა სახეები



2.3. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად

2017-2018 წლებში მიღებული საჩივრების **70%** შეეხებოდა პირველი ინსტანციის მოსამართლეებს, **22%** - თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, ხოლო **8%** - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს.

- პირველი ინსტანცია
- მეორე ინსტანცია
- მესამე ინსტანცია



2.4. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

საქმეთა კატეგორიების მიხედვით, როგორც 2017, ისე 2018 წელს საჩივრების უმრავლესობა სამოქალაქო კატეგორიის საქმეებს შეეხებოდა. თუმცა, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით საჩივრების რაოდენობა სამოქალაქო საქმეებზე **4%**-ით შემცირდა, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეებზე **6%**-ით გაიზარდა. 2017 წელს საჩივრების **19%**, ხოლო 2018 წელს **16%** სისხლის სამართლის საქმეებს შეეხება. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში მოკვლევა განხორციელდა ისეთ საჩივრებზე, მოხსენებით ბარათებსა თუ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ფაქტებზე, რომლებიც კონკრეტული საქმიდან არ მომდინარეობდა.

2017 წელი

საჩივრების რაოდენობა 131



2017 წელი


საჩივრების რაოდენობა 318



2.5. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ დამუშავდა სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრის ავტორთა შესახებ და მათი დაჯგუფება მოხდა სასამართლოში მიმდინარე საქმეში მათი სტატუსის შესაბამისად. საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, მესამე პირები, წარმომადგენლები, მათ შორის როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ისე ადვოკატები, დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი და სხვა.¹⁵


სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საჩივრის ავტორთა **59%** - მხარეები და მესამე პირები, **32%** - წარმომადგენლები, ხოლო **8%** დაინტერესებულ პირები არიან.



¹⁵ საჩივრის ავტორებში მითითება „სხვა“ მოიპოვებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციასა და მოხსენებით ბარათებს. აღნიშნული წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით.

2.6. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

დისციპლინური საჩივრების განხილვის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა რვა სადისციპლინო სხდომა. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა **188** საჩივარზე მომზადებული **173** დასკვნა.¹⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა შემოსული საჩივრების **42%** და მიიღო **219** გადაწყვეტილება.¹⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს განსხვავებული მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ წარუდგენია. ამასთან, აცილების უფლებითა და სხდომის გასაჯაროების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია.



¹⁶ დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით ერთ წარმოებად გააერთიანოს ერთი მოსამართლის მიმართ სხვადასხვა საფუძველით წარმოებული ორი ან ორზე მეტი დისციპლინური საქმე. შესაბამისად, განსხვავებულია მიღებული საჩივრებისა და მომზადებული დასკვნების რაოდენობა.


¹⁷ დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე ინდივიდუალურად იღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მოიცავს ისეთ საქმეებს, სადაც დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა. ასევე, ისეთ საქმეებსაც, რომლებზეც გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადა - ხანდაზმულია (5 საქმე), მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (4 საქმე), საჩივარი შეეხებოდა ისეთ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს -მოსამართლეს (2 საქმე).

2.7. სტატისტიკური ინფორმაცია წარდგენილი დასკვნებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებების შესახებ

დამოუკიდებელი ინსპექტორის წინასწარი მოკვლევის შედეგები საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა 160 და არ გაიზიარა 13 შემთხვევაში.

წარმოდგენილი 173 დასკვნა



2.8. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ


დამოუკიდებელმა ინსპექტორმა წინასწარი მოკვლევის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ მოსაზრებით **46** დისციპლინურ საქმეზე მიმართა, სადაც საჩივრის ავტორები უთითებდნენ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების **28**, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების **16** და სამოსამართლო ეთიკის დარღვევის **6** ფაქტზე.¹⁸ დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა **33** დისციპლინურ საქმეზე (დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ წარდგენილი საქმეების **72%**), რომლებიც შეეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების **20**, მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობას ან არაჯეროვანი შესრულების **13** და სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევის **5** ფაქტს.



¹⁸ დისციპლინურ საჩივარში საჩივრის ავტორები რიგ შემთხვევებში დისციპლინური გადაცდომის რამდენიმე ფაქტზე მიუთითებენ. შესაბამისად, საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომის ფაქტების რაოდენობა განსხვავებულია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნას დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ არ დაეთანხმა **13** შემთხვევაში, რაც დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ წარდგენილი საქმეების **28%** წარმოადგენს. აღნიშნული დისციპლინური საჩივრები შეეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების **8** ფაქტს, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჭეროვანი შესრულების **9** ფაქტსა და ეთიკის წესების დარღვევის - **2** ფაქტს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხი **12** დისციპლინური საქმეზე განიხილა. აღნიშნული საქმეები ცხრა შემთხვევაში შეეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას, ორ შემთხვევაში მოსამართლის მოვალეობის არაჭეროვან შესრულებას და ერთ შემთხვევაში სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევას. თორმეტივე შემთხვევაში არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილება **4**, ხოლო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ **8** საქმეზე მიიღო.



3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადება

ანგარიშის წინამდებარე თავში განზოგადებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომებზე განსახილველად წარდგენილი დასკვნები. მოცემულია ის კრიტერიუმები, სამართლებრივი აქტები და სასამართლო პრაქტიკა, რომელზე დაყრდნობითაც დამოუკიდებელი ინსპექტორი წინასწარ მოკვლევას ახორციელებს.

დისციპლინური საქმეები განზოგადებულია საქმეთა კატეგორიების, გადაცდომების და საქმეზე დამდგარი შედეგების შესაბამისად. ასევე, განზოგადებულია ისეთი დისციპლინური საქმეები, რომლებზეც შემაჯამებელი გადაწყვეტილება (პასუხისგებაში მიცემის ან დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამ დრომდე არ მიუღია.¹⁹

საქმეთა განზოგადება ცხადყოფს, რომ გადაცდომის სახეებიდან საჩივრის ავტორები უმეტესად მიუთითებენ მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესაძლო ჩადენის ფაქტზე, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასა და სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევაზე. საჩივრები ასევე, შეეხება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების საკითხს.

¹⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴ მუხლის შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით სქოლიოში არ არის მითითებული იმ საქმეთა ნომრები, რომელზეც საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული ამ დრომდე არ არის.

მოსამართლის მოვალეობების
შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება 36%

საქმის განხილვის უსაფუძვლო
გაჭიანურება 24%

აქტის კანონიერება 22%

სამოსამართლო
ეთიკის
ნორმების
დარღვევა
18%

3.1. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

დისციპლინური გადაცდომის სახედ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება 2017 წელს მიღებული საჩივრების **35%**, ხოლო 2018 წელს **22%**-ში იყო მითითებული.

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ხელმძღვანელობს და ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას საქმის გონივრულ ვადაში განხილვასთან მიმართებით. იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

- 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან;²⁰ რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან;²¹ მტკიცებულებების გამოკვლევასთან²² და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება და ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი, ამ გარემოებაზე შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს;²³
- 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას²⁴, შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან²⁵, ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
- 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები - ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას²⁶.

ამდენად, შესაძლო გაჭიანურების ფაქტზე მსჯელობის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ყურადღებას ამახვილებს საქმის სირთულეზე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, ჩატარებულ სხდომებსა და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებებზე, ასევე კონკრეტული მოსამართლის წარმოებაში საქმის არსებობის ვადაზე, მოსამართლის დატვირთულობასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე. აღ-

20 *Katte Klitsche de la Grande v. Italy*, ECtHR, 27 October 1994, §55; *Papachelas v. Greece*, ECtHR, 25 March 1999, §39

21 *H. v. United Kingdom*, ECtHR, 9 June 1988, §72

22 *Human v. Poland*, ECtHR, 15 October, 1999, §63

23 *Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania*, ECtHR, 29 November 2016, §150

24 *König v. Germany*, ECtHR, 28 June 1978, §103

25 *Acquaviva v. France*, ECtHR, 21 November 1995, §61

26 *Pafitis and others v. Greece*, ECtHR, 26 February 1998, §93; *Tiece v. San Marino*, ECtHR, 25 July 2000

ნიშნული გულისხმობს, რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს წარმოებაში შეიძლება იმყოფებოდეს 2 წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტული მოსამართლე, რომლის მიმართაც საჩივარია წარმოდგენილი, საქმეს განიხილავდეს, არა საქმის წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში, არამედ 3 ან 4 თვე. მაგალითისათვის, საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმე განსახილველად იმყოფებოდა 1 წელზე მეტი ვადით, თუმცა ერთ მოსამართლეს საქმე წარმოებაში ჰქონდა 4 თვე და 24 დღე, ხოლო მეორეს 8 თვე და 23 დღე. მართალია, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დაადგინა საქმის განხილვის ზოგადი გაჭიანურების ფაქტი, თუმცა საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევისას იმსჯელა თითოეულ მოსამართლესთან მიმართებით ინდივიდუალურად.²⁷

ამასთან, იმის დასადგენად მოსამართლემ უსაფუძვლოდ, ბრალეულად გააჩიანურა თუ არა საქმის განხილვის ვადა, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური სწავლობს კონკრეტული მოსამართლის დატვირთულობას. მაგალითად: რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვა ნაცვლად კანონით დადგენილი 5 თვიანი ვადისა, გაგრძელდა 11 თვისა და 16 დღის განმავლობაში,²⁸ თუმცა დამოუკიდებელმა ინსპექტორმა გაითვალისწინა საქმის სირთულე (მოსამართლემ ჩაატარა 10 სასამართლო სხდომა) და მოსამართლის დატვირთვა (საანგარიშო პერიოდში 2016 წელი - წარმოებაში მიიღო 833 საქმე და დაასრულა 759 (91%); 2017 წელი - 1064 საქმე და დაასრულა 905 (85%))²⁹ და მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე არ ვლინდებოდა მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადის უსაფუძვლო, ბრალეული გაჭიანურების ნიშნები.

საქმის სირთულის მიუხედავად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სახეზე იყო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლეთა მიერ სამოქალაქო საქმეზე სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა 1 წლისა და 1 თვის განმავლობაში, ხოლო მომდევნო სხდომა დაინიშნა წინა სხდომის გამართვიდან 5 თვის შემდეგ³⁰ ან/და არ განხორციელებულა არანაირი საპროცესო მოქმედება და საქმე მოსამართლის წარმოებაში იმყოფებოდა 1 წლისა და 1 თვის განმავლობაში;³¹ ამასთან, სტატისტიკური ინფორმაცია, მოსამართლის დატვირთულობის შესახებ, არ იძლეოდა მისი მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამორიცხვის საფუძველს.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული საქმის განხილვა გაჭიანურდა 2 წლითა და 6 თვით, ხოლო მეორეს მხრივ 1 წლისა და

²⁷ §31; *Sürmeli v. Germany*, ECtHR, 08 June 2006, §129

²⁸ დისციპლინური საქმე №14-18-1; დისციპლინური საქმე №14-18-2

²⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 59, ნაწილი 3

³⁰ დისციპლინური საქმე №67-17

³¹ დისციპლინური საქმე №112-17

³² დისციპლინური საქმე №43-17

8 თვის განმავლობაში ადმინისტრაციულ საქმეზე არანაირი საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა მიიჩნია, რომ მოსამართლის მიმართ უნდა დაწყებულიყო დისციპლინური დევნა და საჩივარში მითითებულ ფაქტებთან მიმართებით მოსამართლეს ახსნა-განმარტება უნდა ჩამორთმეოდა, ხოლო ოთხმა წევრმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა. ვინაიდან, ხმათა ორი მესამედით ვერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა.³²

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა არსებულად მიიჩნია საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენის ფაქტი და აღნიშნა, რომ სახეზე იყო სამართალდარღვევის საქმეზე საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, ვინაიდან 1 თვეში განსახილველ საქმეს მოსამართლე 7 თვის განმავლობაში იხილაგდა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საჩივარზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შემდეგ, არ დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის მოსაზრებას მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღო მოსამართლის დატვირთულობა და ის გარემოებები, რომ მოსამართლემ საქმეზე განახორციელა არაერთი საპროცესო მოქმედება. ამასთან, სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის ვადის დარღვევა იმ მიზეზით მოხდა, რომ მოსამართლეს საქმის სირთულიდან გამომდინარე მისი სრულყოფილად შესწავლისათვის ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდა.³³

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე საქმის განხილვის ვადის გაჭიანურება მერყეობს 3 თვესა და 36 თვეს შორის.

რაც შეეხება, სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებას, საჩივრები უმეტესწილად არასაპატიმრო საქმეებთან დაკავშირებითაა წარმოდგენილი. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების საკითხი ამ შემთხვევაშიც ფასდება განხილვის საპროცესო ვადისა³⁴ და ევროპული კონვენციით დაცული საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტის³⁵ შესაბამისად. ერთ-ერთ შემთხვევაში საჩივრის ავტორი არასაპატიმრო საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტზე მიუთითებდა, თუმცა დადგინდა, რომ დასკვნის მომზადების მომენტისთვის სისხლის სამართლის საქმის განხილვისთვის განსაზღვრუ-

32 დისციპლინური საქმე №60-17

33 დისციპლინური საქმე №140-17

34 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 185, ნაწილი 6 და მუხლი 333, ნაწილი 8

35 *Wemhoff v Germany*; *Ciricosta and Viola v. Italy*; *Katte Klitsche de la Grande v. Italy*; *Papachelas v. Greece*; *Human v. Poland*; *König v. Germany*; *Pafitis and others v. Greece*; *Tiece v. San Marino*; *Sürmeli v. Germany*;

ლი 36 თვიანი ვადა არ იყო ამოწურული.³⁶ შესაბამისად, არ დგინდებოდა საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევა. საქმის განხილვის ვადის ხანგრძლივობის საფუძვლიანობა ასევე შემოწმდა გონივრული ვადის სტანდარტის ფარგლებშიც. გამოკვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა ისეთ გარემოებებზე, როგორცაა: მხარეთა ინიციატივები, სასამართლოს აქტიურობა (სასამართლო სხდომების რაოდენობა, გადადებულ სხდომებს შორის ინტერვალის ხანგრძლივობა, ქმედებები - მხარეთა მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების აღსაკვეთად), საქმის სირთულე, მოსამართლის საქმეთა დატვირთვა და სხვა. კონკრეტული საქმესთან მიმართებით დადგინდა სასამართლოს სხდომების სიმრავლე (54 სასამართლო სხდომა) და გამოიკვეთა, რომ საქმის განხილვის ვადის ხანგრძლივობა ძირითადად განპირობებული იყო დაცვის მხარის სათანადოდ მომზადების აუცილებლობით.³⁷ შესაბამისად, მიუხედავად საქმის განხილვის ხანგრძლივი პერიოდისა, მოსამართლის ბრალეულობა არ დადასტურდა, რის გამოც, საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება. ანალოგიურად, სხვა საქმეში, არასაპატიმრო საქმის განხილვის ხანგრძლივობა შეადგენდა 1 წელსა და 2 თვეს,³⁸ შესაბამისად არ აჭარბებდა 24 თვეს. ამ შემთხვევაშიც, განხილვის ვადის ხანგრძლივობის საფუძვლიანობის საკითხი შეფასდა საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტის შესაბამისად და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, მოსამართლის ბრალეულობით საქმის განხილვის გაჭიანურება არ დადასტურდა. მოცემულ საქმეებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრულად გაიზიარა დამოუკიდებელი ინსპექტორის შეფასებები და დასკვნები, დისციპლინური გადაცდომის ნიშნებსა თუ შედეგებთან მიმართებით და შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტის თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი დისციპლინური საქმე, სადაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ასევე სრულად გაიზიარა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა და მიიჩნია, რომ მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენის ფაქტს. კერძოდ, საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ერთ-ერთი არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, დაცვის მხარის ინიციატივით (ბრალდებულის ავადმყოფობის მიზეზით) მუდმივად ხდებოდა სასამართლო პროცესების გადადება და უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოსთვის არ იყო წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევას. საქმეზე დამოუკიდებელმა ინსპექტორმა შეაფასა მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედებები. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ სასამართლო პროცესების სისტემატიური გადადების შედეგად, მოსამართლემ საქმის წარმოებაში მიღებიდან, მხოლოდ 02 წლის, 03 თვის და 22 დღის შემდეგ, მიიღო

36 დისციპლინური საქმე №166/17

37 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8, ნაწილი 2

38 დისციპლინური საქმე №186/17

გადაწყვეტილება დაეწყო საქმის განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. ამასთან, განვლილი პერიოდის განმავლობაში, მოსამართლეს არ მიუღია რაიმე ზომა, რომელიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას.³⁹

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტად მიიჩნევა საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევა, თუმცა ვადის დარღვევის უსაფუძვლობის შესაფასებლად გაითვალისწინება საქმის სირთულე, განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, კონკრეტული მოსამართლის წარმოებაში საქმის არსებობის ვადა და მოსამართლის დატვირთულობა.

3.2. მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების არსებითი დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. სადისციპლინო კოლეგიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ჩადენის ფაქტის შეფასებისას, ყურადღება ექცევა დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის განმასხვავებელ ნიშნებს. კერძოდ, შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება: შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, ქმედებათა განმეორებითობა და ინტენსივობა, მოსამართლის ბრალეულობა და მისი ხარისხი.⁴⁰ ასევე, თუ დადგინდება, რომ მოსამართლე საგარეუდო შეცდომის დაშვებისას მოქმედებდა შინაგანი რწმენის საფუძველზე, დისციპლინური გადაცდომა გამოირიცხება.

მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ჩადენის ფაქტზე მსჯელობისას დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ითვალისწინებს სადისციპლინო პალატის პრაქტიკას საქმეზე №დს-შ/9-16, სადაც პალატამ ერთმანეთისგან გამიჯნა სამართლებრივი შეცდომა და დისციპლინური გა-

³⁹ აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემატამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

⁴⁰ დისციპლინური საქმე №1/04-12, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, 2013 წლის 12 აპრილი

დაცდომა. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპისა და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში⁴¹. ამდენად, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

მოსამართლის მოვალეობის არაჭეროვანი შესრულების ფაქტი დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დადგენილად მიიჩნია იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო ძალადაკარგულ ნორმაზე დაყრდნობით, რომელიც იწვევდა - მხარის არსებითი საპროცესო უფლების, კერძოდ, შესაბამისი განცხადების ზეპირი მოსმენით განხილვის უფლების დარღვევას. შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობის, მოსამართლის მოტივის, ქმედებისადმი მისი განზრახი და ასევე, უხეში გაუფრთხილებლობის გამომრიცხავი დამოკიდებულების გამო, საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეაფასა მხოლოდ სამართლებრივ შეცდომად⁴².

მოსამართლის მოვალეობის არაჭეროვანი შესრულების ფაქტები უმეტესწილად დასაბუთებული გადაწყვეტილების ან/და განჩინების მხარეთათვის დაგვიანებით გაგზავნას შეეხება. სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა. სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული

41 საქმე №დს-შ/9-16, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო პალატა, 2016 წლის 21 ივლისი

42 დისციპლინური საქმე №202-17

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას.⁴³ შესაბამისად, როდესაც საჩივრის ავტორი მიუთითებს დასაბუთებული გადაწყვეტილების ან/და განჩინების დაგვიანებით გადაგზავნის ფაქტზე, აღნიშნული ვერ იქნება განხილული როგორც საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება და მიიჩნევა როგორც მოსამართლის მოვალეობის არაჭეროვანი შესრულება.

პრაქტიკაში, სასამართლოს მიერ მიღებული აქტის მხარეთათვის გაგზავნისათვის დადგენილი ვადის დარღვევა მერყეობს 10 დღიდან 10 თვემდე.

დამოუკიდებელი ინსპექტორი გადაწყვეტილების/განჩინების მხარისათვის გაგზავნის ვადის დარღვევაზე მსჯელობისას ითვალისწინებს, გამოიწვია თუ არა საპროცესო დოკუმენტის დაგვიანებით გაგზავნამ მხარის ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა. ამასთან, მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით რამდენად გონივრულ ვადაში მოხდა დოკუმენტის მხარისათვის ჩაბარება. მხედველობაში მიიღება სასამართლოს მიერ შესაფასებელი საკითხის სირთულე.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინური გადაცდომად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა დაახლოებით 5 თვის შემდეგ;⁴⁴ 8 თვის დაგვიანებით;⁴⁵ 6 თვის დაგვიანებით.⁴⁶ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დასაბუთებული განჩინება მოპასუხეს გაეგზავნა და ჩაბარდა, მოსარჩელისათვის განჩინების გაგზავნიდან 2 კვირის შემდეგ;⁴⁷ გადაწყვეტილება მოპასუხეს გადაეცა სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვიდან მე-13 დღეს (დადგენილი ვადა დარღვეულ იქნა 10 დღით), თუმცა მხარეს გასაჩივრების უფლება არ წართმევია.⁴⁸

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოსამართლის მოვალეობის არაჭეროვანი შესრულება დადგენილად არ მიიჩნია დასაბუთებული გადაწყვეტილების 9 თვის დაგვიანებით გაგზავნისას, ისეთ შემთხვევაში, როდესაც, მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ წართმევია და ამავდროულად, საკმაოდ მაღალი იყო მოსამართლის დატვირთვის მაჩვენებელი, კერძოდ, ვადის დარღვევის პერიოდისათვის მოსამართლეს განსახილველად ჰქონდა 1674 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა 888 საქმე (53%).⁴⁹

აღსანიშნავია, რომ საჩივრები სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გა-

43 *Hornsby v. Greece*, 19 March 1997, §40, Reports of Judgments and Decisions 1997-II; ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004 წლის 08 აპრილი; აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2006 წლის 28 ნოემბერი

44 აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემატამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

45 აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემატამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

46 აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემატამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

47 დისციპლინური საქმე №212-17

48 დისციპლინური საქმე №133-17

49 დისციპლინური საქმე №49-18

ნაჩინის დაგვიანებით გადაგზავნასთან დაკავშირებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. თუმცა, ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეზე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიჩნია, რომ საპატიმრო საქმეზე, მსჯავრდებულისათვის განაჩინის ასლის გადაგზავნის ვადის (ერთი თვისა და 14 დღის დაგვიანებით) და საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის ვადის დარღვევა (სამ თვენახევრით) მოსამართლის მოვალეობის არატეროვანი შესრულების შემადგენლობას ქმნიდა, რაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა.⁵⁰

სისხლის სამართლის საქმეებზე მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა/არატეროვან შესრულებასთან მიმართებით, ხშირია საჩივრის ავტორთა პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ ირღვევა საქმის განხილვის პროცედურული ნორმები; არცერთ საქმეზე, მათ შორის, საპროცესო ნორმათა დარღვევის დადასტურების შემთხვევაშიც, ფაქტები არ შეფასდა დისციპლინურ გადაცდომად ვინაიდან სახეზე არ იყო მხარის უფლებების/საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო უარყოფითი შედეგი.

დისციპლინურ საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლის მოვალეობის არატეროვანი შესრულება მოსამართლის ისეთ ქმედებას ან უმოქმედობას წარმოადგენს, რომელიც იმპერატიული და ფუნდამენტური ნორმების არსებით დარღვევას მოიცავს და სცდება სამართლებრივი შეცდომის ფარგლებს, თუმცა, გადაცდომის თითოეული ფაქტი დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ფასდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

3.3. სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა

მოსამართლის მაღალი პროფესიული ეთიკა განაპირობებს სასამართლოს ავტორიტეტს საზოგადოებაში. შესაბამისად, სამოსამართლო ეთიკის ნორმების დაცვას დისციპლინურ სამართალწარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა,⁵¹ ისევე როგორც ბანგალორის პრინციპები⁵² და მოსამართლეთა ეთიკის წესები⁵³ სამოსამართლო ეთიკის ძირითად მარეგულირებელ აქტებს წარმოადგენენ. აღნიშნულ აქტებსა და საერთაშორისო პრაქტიკაზე⁵⁴ დაყრდნობით

50 აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

51 <http://independent-inspector.ge/Legislation/Decision/13>

52 <http://independent-inspector.ge/Legislation/Decision/13>

53 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია, 2007 წელი

54 <http://dcj.court.ge/geo/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

მსჯელობს დამოუკიდებელი ინსპექტორი სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით არსებულ საჩივრებზე.

სამოსამართლო ეთიკის ნორმების შეფასებისას არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.⁵⁵

სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემომყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მაღლა უნდა იდგეს და უპირატესობა არ უნდა მიანიჭოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთს. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.⁵⁶

ეთიკის წესების დარღვევის დასადგენად დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური შეისწავლის როგორც აუდიო, ისე ვიდეოოქმებს (გამოთხოვა ხდება როგორც სხდომათა დარბაზის, ისე გარე პერიმეტრის ვიდეოჩანაწერების) და ფაქტების სრულყოფილი მოკვლევის შედეგად, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ხდება იმის დადგენა ჰქონდა თუ არა ადგილი ეთიკის ნორმების დარღვევას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნია შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ თარჯიმანს მიმართა ხმაბლალი ტონით დაავალდებულა დაკისრებული მოვალეობის შესრულება, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, თარჯიმნის მიერ სასამართლო პროცესზე განხორციელებული ქმედებები მიმართული იყო პროცესის ჩაშლისკენ. მოსამართლის ქმედება ემსახურებოდა სასამართლო განხილვის უწყვეტობის და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს. შესაბამისად, არ გაიზიარა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა და საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.⁵⁷

⁵⁵ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პრინციპი 4.1, გვ 128

⁵⁶ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პრინციპი 6.6, პუნქტი 215, გვ. 196

⁵⁷ დისციპლინური საქმე №101-17

დისციპლინური გადაცდომა დადასტურებულად იქნა მიჩნეული იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლემ ადვოკატს მიმართა დამამცირებელი სიტყვებით. ასევე საჭაროდ გამოხატა უარყოფითი აზრი ადვოკატის პროფესიონალიზმთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია სამოსამართლო ეთიკის ნორმები. აღნიშნული შეფასება გაიზიარა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომაც.⁵⁸

ერთ-ერთ საქმეში, სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ, აპელანტის წარმომადგენელს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „დასაბუთება რა თქმა უნდა იქნება, ამას არ დაგამადლით...“; აღნიშნული მიჩნეულ იქნა მოსამართლის მხრიდან არაეთიკური მიმართვის ფაქტად, როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის, ისე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.⁵⁹

ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევად იქნა მიჩნეული მოსამართლის მიერ მოსარჩელის წარმომადგენლისათვის მის განცხადებაში მითითებული თითოეული გარემოების დეტალური ახსნა-განმარტების მოთხოვნის ფაქტი. კერძოდ, შემთხვევა, როდესაც მოსამართლე პროცესის მიმდინარეობისას დეტალურად კითხულობდა მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადებას და სთხოვდა მას პასუხს, თუ რატომ მიუთითა მან განცხადებაში ესა თუ ის მოსაზრება. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დასკვნაში აღნიშნა, რომ (სხდომის თავმჯდომარე) უფლებამოსილია (ვალდებულიც) მხარის მიერ სასამართლოს მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი ზომები, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი უნდა მოქმედებდეს სამოსამართლო ეთიკის წესების დაცვით, ამდენად, მოსამართლის მხრიდან მხარის ან მისი წარმომადგენლისათვის განცხადების შინაარსთან მიმართებაში „ანგარიშის/განმარტების“ მოთხოვნა (რომელიც არ ემსახურება საქმეზე შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზანს) წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო ეთიკის ნორმის შესაძლო დარღვევის ჩადენის ფაქტს.⁶⁰

დისციპლინური გადაცდომა არ დადგინდა საქმეზე, სადაც სასამართლო, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას (გამოძიების ეტაპი), განჩინებაში მსჯელობდა ბრალდებულის პიროვნებაზე, მის ოჯახზე, საქმიანობაზე, სრულწლოვანი ბრალდებულის დამოუკიდებლად ცხოვრების წესზე. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა შეფასებისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სასამართლოს მსჯელობა ემსახურებოდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლების დასაბუთებას და მიზნად არ ისახავდა ბრალდებულის პიროვნებისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფას.⁶¹

სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევად საჩივრის ავტორთა მიერ ხში-

58 აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემატყობველი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

59 აღნიშნულ საქმეზე საბოლოო/შემატყობველი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

60 დისციპლინური საქმე №102-17

61 დისციპლინური საქმე №173-17

რად სახელდება მოსამართლის მიკერძოებულობა ან/და ტენდენციურობა, რაც ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე არ დასტურდება. მაგალითად, საჩივრის ავტორი მიუთითებდა მოსამართლისა და მოპასუხის ნათესაურ კავშირზე, რაც დადასტურების შემთხვევაში მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოების გამოკვლევის მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოძიებულ იქნა მოსამართლის ქონებრივი დეკლარაცია (ოჯახის წევრთა ვინაობის დასადგენად), გამოიკითხნენ მოპასუხეები, თუმცა მოსამართლისა და მოპასუხის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ვერ იქნა მოპოვებული. საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება დისციპლინური გადაცდომის არ არსებობის საფუძველით.⁶²

ამდენად, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის გაღრმავების მიზნით,⁶³ დისციპლინურ საქმეთა განზოგადება მიუთითებს სამოსამართლო ეთიკის მაღალი სტანდარტის დადგენისა და არსებობის მნიშვნელობაზე.

3.4. სასამართლო აქტის კანონიერება

სასამართლოს მიერ მიღებული აქტის კანონიერებაზე 2017 წელს მიღებული საჩივრების **13%**, ხოლო 2018 წელს - **24%**-ში იყო მითითებული.

დისციპლინური სამართალწარმოების დროს აკრძალულია მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება, თუმცა საჩივრების საკმაოდ დიდი რაოდენობა შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული აქტის კანონიერებას, ანუ მხარე უკმაყოფილოა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (განაჩენით) და აღნიშნულის გამო მიმართავს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს.⁶⁴

კანონიერებაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის დანაწესი, რომლის თანახმადაც არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.⁶⁵ მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.⁶⁶ სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. დისციპლინური სამართალწარ-

⁶² დისციპლინური საქმე №2-18

⁶³ იხ. CCJE-ს დასკვნა No. 3(2002), პარაგრაფი.50, რეკომენდაცია ii.

⁶⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 75¹⁰, პუნქტი 5

⁶⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63, ნაწილი 1

⁶⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7, პუნქტი პირველი

მოება არ გულისხმობს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებისა თუ შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.⁶⁷

ამდენად, აღნიშნული წესის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ იყო უფლებამოსილი შეეფასებინა საჩივრები, რომლებიც შეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას.

⁶⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 75¹, პუნქტი 3

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური საჩივართა განხილვის პარალელურად აქტიურად ცდილობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით ევროპის საბჭოს პროექტის - „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ - ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდი www.independent-inspector.ge. ვებგვერდი შეიცავს მთელ რიგ ინოვაციურ მახასიათებელს, როგორცაა შშმ პირებზე ადაპტირება, დისციპლინური საჩივრის ელექტრონულად გაგზავნის შესაძლებლობა, ელექტრონული ხელმოწერა და ა.შ. ვებგვერდზე პროექტიულად ხელმისაწვდომია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომლის განახლებაც პერიოდულად ხორციელდება.

დონორი ორგანიზაციების კერძოდ, ევროპის საბჭოს „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის მხარდაჭერითა და USAID/PROLoG-ის ორგანიზებით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გაძლიერების მიზნით არაერთი ტრენინგ-სემინარი ჩატარდა. აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებს უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები და უცხოელი მოსამართლეები.⁶⁸ ამასთან, ევროპის საბჭოს „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ხელშეწყობით, დამოუკიდებელი ინსპექტორი იმყოფებოდა ლატვიაში, ქალაქ რიგაში, ევროპის მოსამართლეთა (სასამართლო სისტემის) სწავლების ცენტრების კავშირის (European Network of Judicial Training) მიერ ორგანიზებულ სემინარში „ეთიკა და სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენცია“ მონაწილეობის მისაღებად.⁶⁹

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, ურთიერთანამშრომლობისა თუ ცნობადობის გაზრდის მიზნით, აქტიურად მართავს შეხვედრებს სხვადასხვა საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სახალხო დამცველის აპარატთან თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან.⁷⁰

დამოუკიდებელი ინსპექტორი აქტიურად არის ჩართული სასამართლო რეფორმის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწორედ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხების დახვეწა.⁷¹

დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანად განხორციელებისათვის, აუცილებელია საზოგადოების სწორად ინფორმირება. აღნიშნულის უზრუნ-

68 <http://independent-inspector.ge/News/Index/2>

69 <http://independent-inspector.ge/News/ReadMore/3>

70 <http://independent-inspector.ge/News/Index/2>

71 <http://independent-inspector.ge/News/ReadMore/2>

ველსაყოფად დამოუკიდებელი ინსპექტორი მონაწილეობს სატელევიზიო და რადიო გადაცემებში. ცნობიერებისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც აქვეყნებს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციას. ასევე მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სამეცნიერო-აკადემიურ აქტივობებში.^{72 73}

2019 წელს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში დაგეგმილია შეხვედრები მოსახლეობასთან, ადვოკატებთან, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან, სამეცნიერო წრეების და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან/სტუდენტებთან. 2019 წლის გაზაფხულზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამოსამართლო ეთიკის საკითხებზე დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ იგეგმება საერთაშორისო ფორუმის გამართვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სასამართლო სისტემის წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები.

წინადადებები და რეკომენდაციები

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოება სასამართლოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამასთან, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არის საკითხები, რომლებიც დაზუსტებასა და მეტ სიცხადეს საჭიროებენ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ზუსტ ჩამონათვალს, თუმცა ამ მიმართულებით სასამართლო რეფორმის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ფაქტობრივად განხორციელდა დისციპლინური გადაცდომების სახეების ჩამოყალიბება ბანგალორის პრინციპების შესაბამისად. მიუხედავად აღნიშნულისა, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გარკვეული საკითხები კვლავ დახვეწას საჭიროებს. მაგალითად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი არ იცნობს დისციპლინურ საჩივარზე ხარვეზის დადგენის ინსტიტუტს. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ოპტიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია კანონმა დამოუკიდებელ ინსპექტორს მიანიჭოს უფლებამოსილება საჩივრის ავტორს დაუდგინოს ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს ვადა იმ შემთხვევაში თუ საჩივარში მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი. უმჯობესია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესაძლებლობა ისეთ შემთხვევებზე, როგორცაა სუბიექტის არარსებობა, დისციპლინური სახდელის დაკისრებისათვის დადგენილი ვადის გასვლა, გადაწყვეტილების კანონიერება.

72 <http://independent-inspector.ge/News/ReadMore/21>

73 <http://independent-inspector.ge/News/ReadMore/18>

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს ანგარიშგაღებული მართლმსა-
ჯულების ჩამოყალიბებას და გაზრდის სასამართლოსადმი საზოგადოების
ნდობის ხარისხს.

*„სასამართლო არ ფლობს ხმალს და
არ განკარგავს ხაზინას, საბოლოოდ მისი
ძალაუფლება მიღებული გადაწყვეტილების მიმართ
საზოგადოების რწმენას ემსახურება“⁷⁴*

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მიზანიც სწორედ
ანგარიშგაღებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის გზით სასამარ-
თლოს მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებაა.

⁷⁴ აშშ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლე ფელიქს ფრანკფურტერი (*Baker v. Carr*; 1960)